

განმარტებითი ბარათი

„ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონის  
პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის შემუშავების მიზეზი

~~კანონპროექტის შემუშავების მიზეზია ცხოველთა და მცენარეთა ახალი~~  
ჯიშების დაცვასთან დაკავშირებული ერთგვაროვანი ურთიერთობების  
მარეგულირებელი ნორმების რამდენიმე საკანონმდებლო აქტში არსებობასთან და  
ამ აქტებში ცალკეული მოქველებული ნორმები.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების  
სამართლებრივ დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ერთგვაროვანი  
ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების ერთ საკანონმდებლო აქტში  
თავმოყრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს: 1. „ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის  
შესახებ“ და „მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ“ საქართველოს  
კანონების გაერთიანებას, რამდენადაც მათში ასახულია ერთგვაროვანი  
ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები, და ასევე 2. „სანაშენე  
მეცხოველეობისა“ და „სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების  
გასაურცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ“  
საქართველოს კანონების ძალადაკარგულად გამოცხადებას, რამდენადაც  
აღნიშნული კანონები შეიცავენ ნორმებს, რომლებიც აღარ შეესაბამება არსებულ  
რეალობას და მოქველებულია.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების  
დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს საბიუჯეტო ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

~~ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები~~

კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ ზეგავლენას იმ პირობებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის (პრინციპი)

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან



კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში

---

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

ასეთი არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონის პროექტის ავტორია აგრარულ საკითხთა კომიტეტი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონის პროექტის ინიციატორია აგრარულ საკითხთა კომიტეტი

